ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, **www.sangu.edu.ge**

№_____ 04 05 2020 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება № 14

„COVID 19 ვირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის და დროებითი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2020 წლის 12 მარტის №9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი წესდების მე-5 მუხლის „ე“ და „ო“ ქვეპუნქტების, საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „COVID 19 ვირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის და დროებითი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2020 წლის 12 მარტის №9 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტში დისტანციური სწავლება ხორციელდება ონლაინ პლატფორმა Google meet-ის მეშვეობით. სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი ლექტორის შეხედულებით, სწავლება შეიძლება წარიმართოს სხვა ალტერნატიული პლატფორმის გამოყენებით, თუ Google meet პლატფორმა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის სასწავლო კომპონენტში სწავლებას“.

2. ბრძანება გასაცნობად და მათთვის განკუთვნილი ამოცანების შესასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და თანამდებობის პირს.

3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბრძანების განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი მეუფე იაკობი (იაკობიშვილი)

მეუფე იაკობი